


№ 2—1917
კვირა იანვარი 8

მიიღება ხელის მოწერა
დაწვრილებით იხ. მე-16-ე გვ.

წელ მეხუთე გამოცემისა
ფასი 15 კ.

5871

# შინაარსი

1, ყოფილი—ვისი ან რის ბრალია? . . . 2
2, ლ. ძიძიგური—სევდის ნაფლეთები: დამჭ-კნარი სიყმაწვილე . . . . . . . . 4
3, ლ. გაგაშელიშვილი—ჩვენი მუსიკოსი—ია კარგარეთელი . . . . . . . . "
4, დ. ნახუცრიშვილი—თურქული სიმღერა 6
5, კ. გარიყული—ბრძოლის ველზე . . . 7
6, გ. ქუჩიშვილი—ჩემს გულს . . . . . . 8
7, ნიავ-ქარი—სონეტი . . . . . . . . -
8, მარიჯან—*** . . . . . . . . . . 9
9, იოსებ არიმათიელი—ცოცხალი არქივი ს. თ. ჩრელაშვილი . . . . . . . . .
10, დ. კილოსანიძე—სდუმს გული . . . .
11, პართენ გოთუა—პატარა წერილები III 10
12, ტალღა *** . . . . . . . . . . 11
13, ხ. ვარდოშვილი—გიმღერებ! . . . . "
14, იაგო ტიტუნაშვილი—სოფლად . . . .
15, ტანჯული მუშა—ამონაკვნესი . . . . "
16, გრ. საქარიქიძე—მოსე მწერალი . 12
17, გ. ჯაბაური—სახალ. თეატრის ისტორია 13
18, უსაგანო—მწიგნობრობა . . . . . . 14.
წვრილი ამბები. . . . . . . . . . . .



† ს. თ. ჩრელაშვილი
გარდაიცვალა იანვრის 3
(იხ. ამავე ნომრის 9 გვ.)



მუსიკოსი ია კარგარეთელი
(იხ. ამავე ნომერში)

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-музей

# „ვისი ან რის ბრალია?“ *)

საკითხი მეტად მკაფიოთ არის წამოყენებული და, ვეცდები, რამდენადაც შემიძლია, მას პასუხი გავცე.

„ვისი ან რის ბრალია, რომ დღემდე ქართული სასცენო ხელოვნება მკვიდრს ნიადაგზე ვერ დადგა და ვერ შეუდგა აღყვავების გზას?“

— ეს იმის ბრალია, რომ გამგეობა ეჩხირება სხვის საქმეში, ანტრეპრიზაში, მთელ თავის „სხვათაშორის“ დროს ამას ანდომებს და საკუთარი დანიშნულება-კი ავიწყდება.

იმისი ბრალია, რომ ერთ ბავშვს შვიდი ძიძა ჰყავს; ამ ძიძებს ყველას საკუთარი საქმეები აქვს და ბავშვის აღზრდაზე ფიქრობენ მხოლოდ „თავისუფალ დროს“. ეს ბავშვი-კი ისეთი სათუთია, რომ „სხვათაშორისი“ მისი მოვლა-პატრონობა შეუძლებელია; ეს მის სიკვდილს უდრის; ამიტომ საჭიროა იგი ჩაბარდეს ერთს მცოდნე და გულშემატკივარ პირს, მიეცეს სუბსიდია და გამგეობამ ამ პირის მოქმედებას თვალი ადევნოს, კონტროლობა გაუწიოს. მე არ ვამბობ ისეთ ანტრეპრიზაზე, რომელსაც მიზნად ექნება ექსპლოატაცია, საკუთარი ჯიბის გასქელება; არა! მივანდოთ ისეთს კაცს, რომელიც იდეურად ემსახურება ამ საქმეს და მისთვის გული შესტკივა, ასეთები კი მოგვეპოვება!

იმისი ბრალია, რომ „საფუძვლიანსა და ლამაზ სიტყვებიან მოხსენება-პროექტებსა ვთხზავთ, ხოლო ამ პროექტის განხორციელებაზე იმდენს ვფიქრობთ, რამდენსაც შარშანდელ თოვლზე.

იმისი ბრალია, რომ ჩვენი „საზოგადო მოღვაწენი“ გამგეობის წევრობაზე ფეხს იდგამენ არა საქმის სიყვარულით, მუშაობის რისამე გაკეთების სურვილით, არამედ საკუთარი თავის რეკლამისთვის, რომ შუბლზე მიიკრან „საზოგადო მოღვაწის“ „იარლიყი“ „პატენტი“. მე ვიცი გამგეობის წევრი, რომელიც მუდამ გაიძახის: „თავი დამანებეთ, დრო არა მაქვს, ვერაფერს გავაკეთებ, ნუღა ამირჩევთო“... მიუხედავად ამისა ყოველ არჩევნებზე ფეხს იდგამს, ირჩევენ, მაგრამ მართლაც **არაფერს აკეთებს**.

ვიცი გამგეობის წევრი, რომელიც ყოველ არჩევნებზე ფეხს იდგამს, ირჩევენ (ამბობენ ფულსაც კი ხარჯავს და არა საკადრის საშუალებასაც კი მიმართავს ხოლმე, რომ აირჩიონ). მუდამ წევრია, მაგრამ არაფერს არ აკეთებს: ისე დაშორებულია ხელოვნებასთან, როგორც ცა დედამიწასთან. (გამიგონია ანეკდოტების კარგი მთქმელია და სხდომის დროს თავის კოლეგებს ართობს ხოლმე. ალბათ ამიტომ თუ ირჩევენ).

ვიცი ასეთიც: წელიწადი ისე გაივლის, გამგეობის არც ერთ სხდომას არ დაესწრება, ისე არ იცის რა ხდება გამგეობაში, როგორც მე არ ვიცი — რა ხდება მარსზე. გამგეობის სხდომების ოქმებსაც რევიზიის რამდენიმე დღის წინ აწერს ხელს. რომ სარევიზიო კომისიამ არ აღნიშნოს მისი უსაქმობა, მაგრამ რისით გამოდის საზოგადო კრებაზე და ისეთ „რეჩებს“ იტყვის ხოლმე, რომ სულ „ბდღვირს აღენს!“ გეგონება, მთელი დედამიწა მის კისერზე ტრიალებსო. საზოგადოება ფიქრობს — ეს ყოფილა, რაც ყოფილა! რაკი ბევრს ლაპარაკობს, ალბათ ბევრიც გაუკეთებიათ და ეს უსაქმოუბელი ხელმეორედ, მესამედ, მეოთხედ იდგამს ფეხს და საზოგადოებაც ირჩევს.

ამისთანა მაგალითებს მრავალს დავასახელებდი, მაგრამ შორს წაგვიყვანს.

ნეტავ ვიცოდე, რად სჩადიან ამას? რა ხიბლავს ამ ცრუ მოღვაწეთ? საქმის სიყვარული აქ არა სჩანს, ნივთიერი სარგებლობა — არაფერია, და, ვგონებ, მორალურიც არაფერია. გერქვას სახელი წევრისა და არაფერი კი არ გააკეთო! მართალია დიდია საზოგადოების ნდობა, მაგრამ დიდია ამ ნდობის გამართლებაც, როგორ არა სცხვენიათ საზოგადოების ასე აბუჩათ აგდება და მისი ნდობის ასე ბოროტად მოხმარება?! მოცალეობა არა გაქვთ, ვერაფერს აკეთებთ?! იმდენი გამბედაობა მაინც იქონიეთ, ხმა მაღლა

*) ეს წერილი ეკუთვნის ჩვენი სცენისა და მწერლობის დიდათ დამსახურებულ მოღვაწეს და გამოწვეულია ჩვენი მეთაურით „ვისი ან რის ბრალია?“, რომელიც დაბეჭდილი იყო გასული წლის „თ. და ც.“ № 51. თუმცა ქართ. დრამ. საზ-ის გამგეობის არჩევნები უკვე მოხდა და ამ წერილში გამოთქმულ ზოგიერთ აზრსაც სავსებით არ ვიზიარებთ, მაინც ვბეჭდავთ საზოგადოებისა და საზოგადოთ ყველა დრამატ. აზ-ის გამგეობათა საყურადღებოდ. რედ.

ადიარეთ თქვენი უძლურება! მერწმუნეთ ეს უფრო „სასარგებლო იქნება თქვენთვის“, დაუთმეთ ადგილი სხვებს, თქვენზე თავისუფალთ, ენერგიულთ და საქმის მოყვარულთ. ან რა უბედურებაა,—ყველა დაწესებულებაში ერთი და იგივე პირნი! იგივ პეტრე, იგივ პავლე და სხ. რა თქმა უნდა, რაც უნდა ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდეს, ყველას მაინც ვერ გასწვდება! უთუოდ ერთი რომელიმე უნდა დაიჩაგროს და ამ შემთხვევაში ყველაზე დაპრიყვებული ქართ. დრ. საზოგადოებაა. არა გვყავს მუშაკნი? ტყუილია! ჩვენში ძალიან ბევრია კეთილსინდისიერნი, მცოდნე, ენერგიით სავსე მუშაკნი რომელნიც უსაქმობის გამო თავიანთ ენერგიას უნაყოფოთ ხარჯავენ.

მე ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ თუ გამგეობა მომქმედია, იგ აყვავებს ქართულ თეატრს—რა თქმა უნდა გამგეობას დიდი დანიშნულება აქვს და საჭიროა იქ იყოს ძალა ცოცხალი, მომქმედი, მაგრამ იგი მაინც უნდა ჩამოშორდეს ანტრეპრიზას და თვისი მოქმედება იმ დარგებში გადიტანოს, რომლითაც სავსეა მათი წესდება. როცა ვინმე თანხმდება გამგეობის წევრობაზე, უნდა იცოდეს სად მიდის და რა უნდა გააკეთოს; მას არ უნდა ამოქმედებდეს ქველობის გრძნობა, ეს არ უნდა იყოს სარეკლამო დაწესებულება. ჩემის აზრით გამგეობის წევრთა ეს უმოქმედობა რომ მოისპოს, საჭიროა წევრთ სხდომაზე დასწრებისთვის დაენიშნოს სასყიდელი თუ ეხლა გამგეობის წევრი მთელი წლის განმავლობაში ერთ სხდომასაც არ ნსწრება, მაშინ დარწმუნებული ვარ, სხდომების გახშირებასაც კი მოითხოვს.

„ვისი ან რის ბრალია, რომ ქართველ მსახიობთა კორპორაცია ვერ ავიდა იმ საფეხურამდე, რომ თამამად ეთქვა: „მე სავსებით შეგნებული მაქვს ჩემი დანიშნულებაო?“

იმისი ბრალია, რომ მსახიობთ „კორპორაცია“ არ აქვთ! არ არიან შეკავშირებულნი და საცა არ არის კავშირი, იქ კოლექტიურ შეგნებაზე ლაპარაკი მეტია. ეს არის თითონ მსახიობთა დანაშაული. სცენის მოღვაწეთა ერილობაზე გამოითქვა სურვილი ამ კავშირის დაარსების, მაგრამ აქამდის არაფერი გაუკეთებიათ. სჩანს ვერ ურიგდებიან პრინციპს შეკავშირებისას.

„ვისი ან რისი ბრალია, რომ ამ ბოლო დროებში „განათლებული ინტელიგენტი ძალა არ შემატების ჩვენ სცენას?“

ეს კითხვა მეტად გულუბრყვილოა! ისევ ჩვენი სცენის უკუღმართი პირობების ბრალია. რომელი გიჟი ინტელიგენტი იქნება, შიმშილით და გაჭირვებით სწავლა დაამთავროს, დიპლომი მიიღოს და ისევ შიმშილსა და გაჭირვებაში ჩაიგდოს თავი?! ქართველი მსახიობი წელიწადში მხოლოდ ხუთი თვეა უზრუნველ ყოფილი, ისიც არც სრულიად ერთი საარაკო ცხენივით იმდენს აჭმევენ—არც წაიქცეს შიმშილისაგან და არც თუ ძალიან გასუქდეს. დანარჩენი შვიდი თვე სოფელ-პროვინციებში დაძრწის და ლუკმა პურს ეძებს. მივუთითოთ რუსის მსახიობებზე? რა შედარებაა! რუსებს ასპარეზი დიდი აქვთ. ზამთარშივე ეკვრება პირობით საზაფხულო სეზონისათვის, ასე რომ, ცოტა რიგიანი რუსის მსახიობი წელიწადში 11 თვე მუშაობს. ესეც არ იყოს, ისინი თვეში იმდენ ჯამაგირს იღებენ, რამდენსაც ჩვენი მსახიობი მთელი სეზონის განმავლობაში ვერ აიღებს. ჩვენი პირველ ხარისხოვანი მსახიობის ჯამაგირია თვეში 250 მ. ისიც ეხლა, როდესაც ცხოვრება გაძვირდა და ფული გაიფდა. რუსის სცენაზე კი ამდენსავე იღებს მესამე ხარისხოვანი მსახიობი. რომელი გიჟი ინტელიგენტი წამოვა ამ პ რობებში სამუშაოთ? აქ საჭირონი არიან გმირები, იდეის ხალხი, როგორც არიან ჩვენი ძველი მსახიობნი! ეხლა კი იდეა ვიღასა სწამს? იდეა ფულია და კუჭი!

გააუმჯობესეთ ქართველი მსახიობის ცხოვრების პირობები, უზრუნველ ჰყავით იგი მთელი წლის განმავლობაში და ნახავთ, რომ „განათლებული, ინტელიგენტი ძალაც მოგვემატება“, ეხლანდელი დასი გაიცხრილება, თვის თავად ჩამოშორდება სცენას ის, ვინც მას „მიეკედლა“ და „ვისაც არსებითად სცენასთან საერთო არა აქვს რა“ და ხელში შეგვრჩება მხოლოდ ხალასი ოქრო. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიფიქროთ თეატრის აყვავებაზე.

ვისი და რის ბრალია, რომ გამგეობა (ბოლონდელი არიც) თითქმის ბატონ-კაცურად დაჰყურებს დასს, ხოლო დასი ალმაცერად შეჰყურებს იმ დაწესებულებას, რომელიც უადრესად პატივსაცემია?“

იმასი ბრალია, რომ „ბოლონდელი გამგეობა ბრწყინვალე წოდებისა და „პომპოლიკებისაგანა“ შესდგება და ამ ხალხს უყვარს ბრძანებლობა და სხვის აბუჩად აგდება. მაგათ სურდათ მელპომენის ტაძარში ყაზარმული დისციპლინა გაემეფებინათ და ალბათ მსახიობნი ამ დისციპლინას ვერ შეურიგდნენ და განხეთქილება ჩამოვარდა.

სრულიად შემთხვევით ერთი ინციდენტის მოწმე გავხდი: ჯერ კიდევ ჩვენი თეატრი ცოცხალი იყო რაღაც საქმეზე შევიარე ფოიეში ჩვენი მსახიობნი მოგროვილიყვნენ. საშინელი აღელვება ეტყობოდათ რაცა მიზეზი ვიკითხე—ამიხსნეს: „გამგეობამ ფოიედან სკამები გაიტანინა, რომ ჩვენ ზედ არ დავსხდეთ და მაშასადამე აქ არ მოვგროვდეთო“. გამგეობის ამ საქციელის დაფასება მკითხველისათვის მიმინდვია! არ ვიცი, რით გათავდა ეს არასასიამოვნო ინციდენტი.

ასეთი მოვლენაც შევამჩნიე: რომელიმე პირი კერძო ცხოვრებაში დიდი მეგობარია მსახიობის, მისი „ძმა-ბიჭია“, მაგრამ აირჩევენ თუ არა გამგეობის წევრად, ეს მეგობარი ხდება „კაპრალად“, აიღებს ხელში მათრახს და პირველად მის „მეგობარს“ გადააწნავს. მსახიობიც, რა იქმს უნდა, თავმოყვარეა, და ამას ვერ ურიგდება. ამ რიგად იბადება მათ შორის განხეთქილება, უთანხმოება, სიძულვილი! კერძოთ მსახიობს გამგეობის წევრთან და საერთოდ დასს გამგეობასთან არაფერი საერთო არა აქვთ, გარდა ბრძანებლობისა და ასრულებისა, მათ არაფერი არ აერთებს. მსახიობი გამგეობაში და გამგეობა მსახიობში ვერა ხედავენ ერთმანეთის მეგობრებს, ერთის საქმით შეკავშირებულთ, ერთის მიზნით და იდეით გატაცებულთ. არის დამქირავებული და დაქირავებული, ბიუროკრატიული კანცელარია და მოხელეთა ჯგუფი! და განა ეს ასე უნდა იყოს? განა იმ ტაძარში, სადაც ხელოვნება უნდა იყოს გაღმერთებული და ამ ღმერთმა ამ ორ ჯგუფ-შუა უნდა დაბადოს სრული სოლიდარობა და სიყვარული — ასეთი შური და მტრობა უნდა არსებობდეს? მიკვირს, რომ აქამდისაც სულს ღაფავს ჩვენი თეატრი — ვსთქვათ ქვით ნასაქოლნი არიან ჩვენი მსახიობნი, — მაგრამ ვინ მეტყვის, რომ ჩვენი გამგეობები ტუჩში საკოცნელი იყვნენ?!

დიახ, დაწესებულება, თვითონაც რომ „უაღრესად პატივსაცემია და დარწმუნებული ვარ, მსახიობნიც გრძნობენ ამ პატივისცემას მაგრამ გამგეობათა წესს თუ ვერ ურიგდებიან—ამაში არც ისინი არიან გასამტყუნარნი.

წარმოიდგინეთ მსახიობის ასეთი მდგომარეობა: ყოველ წლივ, ან სამ წელში ერთხელ იცვლება გამგეობათა შემადგენლობა და მუდამ ახალ-ახალი წევრები შედიან გამგეობაში. „მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მქისი“ — ყველა მათგანს საკუთარი წესი შემოაქვს საქმის წარმოებაში. მსახიობი მოვალეა, როგორც დაქირავებული, დაემორჩილოს მას ყოველ წლივ ახალ-ახალს, ყოველ წლივ სხვა და სხვას. საზოგადოება და პრესაც ამას ავალებს მას. საზოგადოება მოვალედ ხდის მსახიობს დაემორჩილოს გამგეობის წესს, ხოლო ამ წესით გამოწვეულ უთანხმოების პასუხის-მგებლობისაგან გამგეობა თავისუფალია საზოგადოება იმას ხედავს, რასაც გამგეობა წლიურ კრებაზე მოახსენებს. გიჟი ვინ იქნება, თავი იძაგოს და, თუ კი ამას გასავალი აქვს, თავისი უმოქმედობა სხვას თავზე არ მოახვიოს?! ამიტომ არის, ყოველ კრებაზე გამგეობას გუნდრუკს უკმევენ, ხოლო მსახიობთ უკუღმა მათრახები ხვდებათ. რა ხდება შიგა-დაშიგ ამის გარჩევაში საზოგადოება არ შედის. ან სადა აქვს ამისი დრო?! საზოგადოებას ჰყავს თავისი წარმომადგენელი და ენდობა კიდეც მას. ეს წარმომადგენელი კი სამართლის სასწორს მუდამ თავისკენ ჰხრის. გიჟი კი არ არის თავი გაიმათრახოს!

დამეთანხმეთ, მეტად ძნელია ადამიანმა, და ისიც ისეთმა რთულმა არსებამ, როგორიც არის მსახიობი, ყოველ წლივ იცვალოს შეხედულება, აზრი, მიმართულება, ტაქტი და შეეფარდოს, შეეწყოს ისეთ პირთა აზრსა და მიმართულებას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ჩემის აზრით ეს არის უმთავრესი მიზეზი გამგეობათა და მსახიობთა შორის ჩამოვარდნილ გამუდმებულ მტრობა-შუღლისა და უთანხმოებისა. ამიტომ, ვიმეორებ, საჭიროა გამგეობა სრულიად ჩამოშორდეს ანტრეპრიზას და მხოლოდ მდგმელები შეუშვან თავიანთ ტაძარში უმათრახოთ, უკაპრალოთ! მერწმუნეთ ეს „უმჯობესია! ისინი უკეთ გაუძღვებიან თავიანთ საქმეს, უკეთეს დისციპლინასაც

შეიმუშავებენ, რადგან უთუოდ მსახიობს უფრო მეტად შესტკივა გული თეატრისათვის, ვიდრე რომელიმე გამოჩენილ ვექილს, ექიმს, ბუხჰალტერს, ან ბანკის დამფასებელს.

გამგეობა რომ თავის ნამდვილ გზას არ ასცდენოდა და ანტრეპრიზას არ გადაჰყოლოდა, ეხლა ჩვენ გვექნებოდა „მდიდარი დრამატიული ლიტერატურა. გამგეობა პრემიით წააქეზებდა დრამატურგებს, ამისთვის ის სახსარს გამონახავდა. პრემია და წაქეზება გამოიწვევს შეჯიბრებს და სადა შეჯიბრებაა—იქ სიცოცხლეა და სადა სიცოცხლე—იქ საქმიანობაც! გვექნებოდა რეპერტუარი; სადრ.-სამკითხველო და სტუდიაც". გამოსძებნიდა პროვინციებში ნიჭიერ ძალებს, ეცდებოდა მათი ნიჭის განვითარებისათვის და ეს კი **გამგეობის პირდაპირი დანიშნულებაა** და არა „მშრალი ფორმალიზმი, ბიუროკრატიზმი, მოვალეობის ნაძალადევად აღსრულების რეჟიმი და კრებებზე ლამაზი სიტყვები და „საბუთიანი და შინაარსიან მოხსენებანი!"

საჭიროა დროზედ ვუშველოთ ჩვენს თეატრს, სანამ იგი სულს დალევს და ეს სული „უპატრონოთა პატრონობაში" ჯერ კიდევ არ აღმოხდენია!

**ყოფილი.**

# სევდის ნაფლეთები...

**დამჭკნარი სიყმაწვილე**

ცხოვრების ზღვით მოღლილი და განაწამები ჩემს სიყმაწვილის რვეულს ვათვალიერებდი... ვიგონებდი, თუ როგორი აღმაფრენითა და სიხარულით რბოდნენ მაშინ დღეები...

შიგ მოულოდნელათ ერთ ყვავილს წავაწყდი, რომელიც მეტით ლამაზი იყო.

ყმაწვილურმა აღმაფრენამ ისევ გაიღვიძა ჩემს გულში და მშვენიერ ყვავილს ხელი შევახე.

მაგრამ ის მსწრაფლ დაიფურცლა, დაიშალა...

და გაჰქრა, მასთან ერთად გაჰქრა ყმაწვილობის მოგონება...

— ეხ, სიყმაწვილევ, სიყმაწვილევ..! რა ცოტა ხნის სტუმარი ყოფილხარ... რა ცოტა ხნის**?**.

**ლ. ძიძიგური.**

# ჩვენი მუსიკოსი



**ია კარგარეთელი**

(25 წლის სამუსიკო მოღვაწეობის შესრულების გამო)

25 წელია რაც ია კარგარეთელი მშობლიურ მუსიკას ემსახურება. ია კარგარეთელი ძლიერ ცუდ პირობებში გამოვიდა ქართული სიმფონიურ მუსიკის შემოქმედების ასპარეზზე. მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, მაგრამ ყოველივე გადალახა, კუთვნილი წვლილი შეიტანა ქართულ მუსიკის აღორძინებაში და დღესაც გულ გაუტეხელად განაგრძობს მუშაობას. იშვიათია დღეს ჩვენს ახალგაზრდობაში ისეთი შრომის მოყვარე ადამიანი, როგორიც იყო კარგარეთელი სიყმაწვილეში, რასაც ნათლად დაინახავთ თუ შეიხედავთ დღეს თბილისში არსებულ მუსიკალურ სასწავლებელში: 100 კაცში 3 ქართველს ვერა ნახავთ, მიუხედავათ იმისა, რომ დღეს უფრო ხელმისაწვდომ პირობებში შეიძლება ისწავლოს ადამიანმა მუსიკა. შეიძლება მიპასუხოთ; ხომ აქვს ქართველ ხალხს მაგის შეძლებაო? მაგრამ ვისაც აქვს, ის რომ თავის ქონებასა და დროს უბრალო ტანცი-მანცებში აბნევს? ამ მხრით ი. კარგარეთელი ნამდვილი მისაბაძი მაგალითია, რომელმაც მშობელთა უსახსრობისა გამო, გორის სასულიერო სასწავლებელში დაიწყო სწავლა. ბავშვობიდანვე ია სიმღერა-გალობის მოტრფიალე დიდი სმენისა და ტკბილი ხმის პატრონი იყო, ამიტომ სასწავლებელში შესვლისთანავე ხორში შევიდა და ჯერ კიდევ პაწაწა ია კარგარეთელი თავისი გრძნობიერი ხმით მსმენელებს ატკბობდა. ბავშვი ისე გაიტაცა მუსიკამ, რომ სწავლას გულს ვეღარ უდებდა და მშობლებს სულ იმას ემუდარებოდა, სიმღერა-გალობა მასწავლეთო. მშობლებს აუჩაღ ჰყავდათ ღებული და ასე დასცინოდნენ:

— ვინ უნდა გამოხვიდე, მებუზიკე? იარე ეზო ეზო და ორ-ორ კაპეიკს გაჩუქებენო.

მაგრამ მრავალმა ასეთმა დაბრკოლებამ ვერ ჩააქრეს ღვთიური ნიჭი. მან დაამთავრა ჯერ მუსიკალური სასწავლებელი, მერე **კონსერვატორია თავისუფალ ხელოვან ხა-**

რისხის მოწმობით. ამ დღიდან ქართულ სიმფონიურ მუსიკის შემოქმედების ასპარეზზე გამოდის ი. კარგარეთელი და უსიტყვო სიმღების კვნესაში ჰქარგავს ქართველი ერის წარსულს. ამ დღიდან იგი აღვივებს მშობლიურ მუსიკას. პირველად მან დაიწყო მუსიკის შესახებ ლექციების კითხვა, დასწერა ქართულ მუსიკის ისტორია, მეცნიერულად გამოიკვლია ქართული მუსიკალური თერმინები და მრავალი ღირს შესამჩნევი სიტყვები შესძინა ჩვენს ღარიბ ლიტერატურას.

ი. კარგარეთლის მუსიკალური შემოქმედება განიყოფება ორ ნაწილად საეკლესიოდ და საეროდ.

მუსიკა—ეს უმაღლესი ნაყოფი ადამიანის ესთეტიურ შემოქმედებისა—მელოდიაში უნდა ხატავდეს ყოველივე ნების ყოფას. მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ესა თუ ის მუსიკალური შემოქმედება ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებად, თუ ყოველივე სულის კვეთება ადამიანის ცხოვრებასა შესაფერ ტონების მელოდიაში იქნება გამოხატული. ამ მხრივ ი. კარგარეთელი დიდ ბუნებოვანია.

საეკლესიო საგალობლების მის სანიმუშო ნაწარმოებთაგანია პანაშვიდისა და დიდ მარხვის საგალობლები, რომელნიც ამ უკანასკნელ ხანებში არის დაწერილი. აქვს აგრეთვე მრავალი ხალხური სიმღერა ნოტებზე გადაღებული და თავისებურად შეკეთებული. მათ შორის მსმენელთა ყურადღებას იპყრობს „რენო". ეს სიმღერა 1915 წ. ტფილისის საეპარქიო სასწავლებლის ქართულმა გუნდმა შეასრულა მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორ ნიკოლოზის მოსასმენად. მის უდიდებულესობას ძალიან მოეწონა, მადლობა გადაუხადა ი. კარგარეთელს და ნოტები თან წაიღო რუსეთში. აქვს რომანსებიც. მათ შორის საუკეთესო ნაწარმოებთაგანია: „მშვენიერთა ხელმწიფევ", „თავო ჩემო", „შევიშრობ ცრემლსა", „შემაფრინდა ეგ ხმა ტკბილი", „თეთრი ვარდი", „ტურფავ მოდი", „არაგვი", „ღმერთებო ნეტავი ჩვენსა". ვისაც ეს რომანსები მოუსმენია, იგი მიხვდება, რომ ამათ დამწერს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ მას შემდეგ, რაც წრიდან გასულმა ავაზაკებმა ხელ-ფეხი გაუკრეს, დიდს ვეღარას სწერს.

გული სასოებით აგევსებათ, როდესაც მის ოთახში შესული ჰნახავთ ცალი ხელით როგორ ეწვალება როიალსა და მუშაობს. ურიგო არ იქნება, თუ ქართველი საზოგადოება ი. კარგარეთელის 25 წლის მოღვაწეობას რითიმე აღნიშნავს.

**ლადო გავაშელიშვილი**

# თურქის სიმღერა

(გადმოღებული)

(ვუძღვნი ალ. მღებრიშვილს)

„კავკასიონის ქედზე რომ ახვიდე და საქართველოს გადახედო, სალამი უძღვენ ჩემ სანატრელ სამშობლოს, მუხლმოდრეკით თაყვანი ეცი და მიწას ემთხვიე ჩემ მაგიერ"

**გადასახლებულის დაბარებული.**

მძლავრო ბატონო, ხარ ულმობელი,
დაუძინებელ გამხდომხარ მტრად;
მტკბილ სამშობლოდან გამაძევე რად?
მე ძლიერ მიყვარს მიწა მშობელი...
ვით შევეთვისო უცხო-სხვა თემსა,
ხომ განრისხული ქვეყნად ვიქნები!
ასე სასტიკად რისთვის ვიტანჯები?
ტკბილ სამშობლოსთვის მუდამ ვღვრი
ცრემლსა.

გულსა მიტანჯავს მწველი ნაღველი,
სამშობლოს ტრფობა—ჩემი ღმერთია...
განკურნების გზაც ერთად ერთია:
ვნახო სამშობლო ტკბილ საყვარელი.
გულღრძო ბატონსა ხვეწნა არ ესმის;
ვით უფროთო ჩიტი ვფართხალებ შორსა;
აქ უცხოეთში ვერ ვხედავ სწორსა,
ტკბილ სამშობლოსთვის გული გლახ კვნესის.
ღრმად, ღრმადა ვმალავ ჩემს მწუხარებას,
ვერ მისწვდნენ იმას უცხო თვალები:
ვერც შეამჩნევენ ვერა ძალები
საბრალო გულის ტანჯვა-ვაებას
ეხლა მარტოკა ვცხოვრობ ბედკრული,
მკერდი ვაკაწრე, ქვად გავიხადე...
მხოლოდ ერთს ვსტირი: თუ დავიბადე,
რად ვარ სამშობლოს მოშორებული!?

[illegible]

# ბრძოლის ველზე

სიმონა საღამოს გაიწვიეს პატარა ტყის ბოლოში, საფარში, საიდანაც ხელის გულსავით მოსჩანდა ფართე მინდორი. აქ მას მთელი ღამე უნდა გაეტარებინა, მეორე დღეს კი სამშობლოში მიდიოდა.

მთელი საათობით ფეხზე დგომით დაღალული სიმონა ხან ერთ ხეს ეყუდებოდა, ხან მეორეს, ხანაც მიდ-მოდიოდა და ამ დროს, ვინ იცის, ოცნებით რავდენ მთას გადირბენდა დაღლილი სიმონა და ვის არ ნახავდა. ღამის ფიქრები არ ასვენებდენ მას, თანაც მეტ დაღლილობას გრძნობდა: ფეხზე ვეღარ დგებოდა. მან სიმწუხარით მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქეთ და მერე ერთ ბუჩქისაკენ გასწია, სადაც თხრილის თავზე ჩამოჯდა.

არ გასულა სამიოდე წუთი, რომ მთვარე ამოვიდა. მთვარის ამოსვლაზე ღამის სიომაც გამოიღვიძა და ფერიებსავით წყნარი შარა-შურით გამოითამაშა მინდვრად ბუჩქნარ-ბალახებზე...

არე მიდამომ თეთრად გაიღიმა

სიმონას ისე ჩქარა ჩაეძინა, რომ მთვარის ამოსვლაც ვერ შენიშნა, რათა მტრისთვის სახე მაინც მოერიდებინა.

თხრილის თავზე ჩამოჯდომისას ჯიბეში რაღაცამ გაუშაშუნა: ეს იყო მაროსაგან გუშინ წინ მიღებული წერილი. სიმონას და მაროს სიმონას ჯარში ორი თვის გაწვევის წინ დაეწერათ ჯვარი.

— მარო... ჩემო მარო! — გაიფიქრა მან, როს მაროს წერილი გაახსენდა და... ფიქრებში ერთ წუთის მგზავრობის შემდეგ კიდეც შეაღო კარები თავის მშობლების სახლისა, საცა იმყოფებოდა მაროც. დედა, მამა, მარო, ბავშვები, რომლებს მაროსათვის საჩვენებლად მოეტანათ დაქერილი ციცინათლები, — სიცილ-ღიმილით და მხიარული ხმაურობით შემოეხვიენ მას. სიმონა ყველას მიესალმა, ყველა გადაკოცნა, მხოლოდ მაროს ხელი ჩამოართვა და ცოტა ხნის ლაპარაკის დროს ასე ხელ-ჩაკიდებული ჩამოჯდა იქვე დიდ ტახტზე.

სიმონას დედა, ნატალია, სიხარულით დაფრინავდა.

— ო, შვილო... ნავალი ხარ, გეშივება... თქვენ იჭუკჭუკეთ, მე წავალ და ვახშამს მოგიმზადებთ... შენ, პავლია, პატარა შეშა დამიჭერი... მერე ღვინო ამოიღე! — მიმართა ქმარს ნატალიამ. პავლიაც წამობარბაცდა და დაჩქარებული გაყვა მას. ბავშვები გარედ გაცვივდნენ მხიარულად.

მარო წყნარად წამოდგა და ღია დარჩენილ კარების მოსახურავად გავიდა მეორე ოთახში. სიმონა წამოდგა და მაგიდასთან მივიდა. შემობრუნებული მარო მიუახლოვდა. სიმონამ მაროს ხელი დაუჭირა და თვალებში ჩახედა. მაროს ჟრუანტელმა გაურბინა ტანში.

— მარო მოგეწყინა? . შეეკითხა იგი მაროს.

— ხო .. უნებლიეთ უპასუხა მარომ.

— რათა?... შენ ჩემი მარო არა ხარ?.. მარო... ა? ჩასჩურჩულებდა იგი თვალებ დაშვებულ მაროს, მარო ღელავდა...

ისინი შეუმჩნევლად უახლოვდებოდნენ...

მთვარის სხივებს ნათლად გამოენაქვთა თხრილის თავზე მჯდომ სიმონას ახალგაზრდა კოკობ-ვარდივით აღელვებულ-აფერილი სახე, რომელსაც მხატვრულად ამშვენებდა ჯერ კიდევ სულ ნორჩი ულვაშები.

ნიავი აღარ ჰქროდა. მიდამო მდუმარებდა. სიმონას ახლო, ტყის ზემო ნაპირიდან, ფოთლების ჩურჩული მოისმა: სიმონას ბუჩქებიდან რაღაც ლანდები ეპარებოდენ.

— მარო... ჩემო მარო... დამთვრალი ჩურჩულებდა სიმონა... ხელი ყბეში ამოდოდა...

ის იყო თხრილის თავზე მჯდომი მიმონა შეტორტმანდა... ლანდები შეკრთენ და ხიშტებით ელვასავით ეკვეთენ მას.

სიმონა ტორტმანით გადაეშვა თხრილში, ვითომ მაროსთან ერთად ტახტზე გადაეშვაო...

გამარჯვებულმა ლანდებმა უმხიარულოდ გადახედეს თხრილში უსულო სიმონას...

**კოლა გარიყული.**

# ჩემს მამულს

ჰოი, მამულო! შენზე ფიქრით, შენზე წუხილით,
ვინ უწყის ღამე რაოდენჯერ მითენებია;
ან ის ვინ უწყის, ბოლმით სავსე გულის დუღილით,
თუ რაოდენი ცრემლთა გუბე მიყენებია...

—

ჰკითხე ვარსკვლავებს, ჰკითხე მთვარეს, თუ შენს წიაღში,
ფანდურით ხელში ვის უვლია, ვის უდარდნია;
და მარტოდ-მარტოს, შეუმჩნეველს, ხალხის ფარულად.
შენზე ტირილით გული რომელს ამოჰვარდნია...

—

ჰკითხე და გეტყვის ყოველივეს, გეტყვის იმასაც,
თუ ვის ვემსხვერპლე, ვის შევწირე სული და გული;
ჰკითხე და მყისვე გიპასუხებს, რომ უმამულოს
მემამულეზე უფრო მეტად უყვარს მამული...



პოდპოლკოვნიკი ა. ნ. მიკეშავიძე
დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლაში სიმამაცის გამოჩენისა და მტრის ქალაქის აღებისათვის დაჯილდოვებული იქმნა გიორგის ჯვრით და პოდპოლკოვნიკის ხარისხით.

## სონეტი

შუა ღამეა... და დუმილი მეფობს ფერმკრთალი.
ოქროს იებით მოქარგულა ცისა ტატნობი;
ოცნებათ ტალღა, მკრთალ დუმილით გამონახმობი,
მიჰქრის, მიტაცებს უცხო მხარით, ვით ელვა მალი.

—

იქ სულ სხვა გვარად ელვარებს მზე, სხივთა მფრქვეველი,
იქ სულ სხვა გვარად სტვენს ბულბული, რაკრაკებს წყარო,
იქ გულს არ სწამლავს ტანჯვა, გესლი და სანეტარო
ვარდ-ყვავილებით მორთულია ცხოვრების ველი.

—

ჰაღის ჟამი... და ფრთებსა სწურავს ოცნება ტკბილი,
თვალ-წინ მეშლება სინამდვილე, შავად გაშლილი,
და სული მეწვის, თვალთაგან მსკდება ცრემლთა ღვარები

—

ო, სულო ჩემო, ლაჩარ-მხდალსა ნუ ედარები!
მსხვრევის ქარიშხლის ცეცხლის ფრთებზე იწყე ქრიალი,
წყევისა ჰანგთა ალში დასწვი აწმყო ტალი!

ნიავ-ქარი

***

ჩემ სუსტ ლექსში, ჩემ რვეულში, ჩემი სული ჩანაქვთულა;
მაგრამ ენამ დაჩლუნგულმა ვერ დასახა-დაასრულა.
ჩემი ლექსი ტბას მიაგავს, ტბას წვრილ ხავსით მოკიდებულს,
და სული-კი ნათელ ვარსკვლავს, შავ ღრუბლებით გადაფარულს.
მაგრამ ვისაც თვალი უჭრის და გზას იკვლევს ბნელი ღამით
ჩემს ლექსებში წაიკითხავს გამოუთქმელს თვისი აზრით!
ის გაიგებს გულის წადილს, გამომიწვდენს ძმურად მე ხელს,
ის მიხვდება ჩუმსა ძახილს, მანუგეშებს ბედის მწყეველს.

**მარიჯან**

# ცოცხალი არქივი

**† სტეფანე თევდორეს ძე ჭრელაშვილი.**

(სურათი იხილე პირველ გვერდზე).

ულმობელმა სიკვდილმა მოულოდნელად წარიტაცა სიცოცხლე საზოგადო მოღვაწე-მწერლის ს. თ. ჭრელაშვილისა: ორშაბათს, იანვრის 2, ქალაქის საბჭოში ის—ის იყო ახალი დავალების შესასრულებლად ერთხმივ აირჩიეს; საღ-სალამათი კაცი სახლში მოვიდა და ნაშუაღამევის 2 ს. უცებ გარდაიცვალა.

სტეპკო ჭრელაშვილი ერთი ტეტიათა მოტრფიალეთაგანი იყო, ნაროდნიკი, გატაცებული მუშაკი, რომელიც სტუდენტობის დროს გააციმბირეს კიდეც. ციმბირიდან დაბრუნებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა 80-იან წლების ჟურნალ-გაზეთებში („იმედში„, „ივერიაში" და სხ.). სწერდა სანოს და სხ სახელებით. მისი ღიულ ჭირ-ვარმის შესახები ფელეტონები და კრიტიკული წერილები მკვირცხლი, მოწინავე აზროვნებით და მშვენიერი ქართულით იყო შემკული. თითქმის სიკვდილამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია (ბოლო ხანებში საქალაქო საკითხებზე სწერდა).

მოღვაწეობა დაიწყო ქალაქის აგენტობით, კარგა ხანს ტფილისის საქალაქო საბჭოს მდივნად იყო, ბოლოს ხმოსნად. საბჭოში ერთ მუყაით მშრომლად ირიცხებოდა, ძველის-ძველ საქმეთა დიდ მცოდნედ (რისთვისაც მას „ცოცხალ არქივს" უწოდებდენ) და როცა რისამე გაგება-გახსენება დასჭირდებოდათ, მას მიმართავდენ ხოლმე.

საბჭოს დავალებით ბევრი მოხსენება შეუდგენია და წაუკითხავს ადგილობრივ თუ სხვაგან.

კიდევ კარგა ხანს შეეძლო სასარგებლო მუშაობა (60 წ. თუ იქნებოდა), ამიტომაც ბევრს დაალონებს მისი მოულოდნელი სიკვდილი.

მის მოღვაწეობას უფრო ვრცლად დავახასიათებთ, როცა ჩვენს ხალხოსანთა შესახებ წერილებს დავბეჭდავთ, ახლა კი ნაამაგდარს მოღვაწე-მწერალს ვუსურვოთ მშვიდი განსვენება და საუკუნო ხსენება.

**იოსებ არიმათიელი.**

◆ **ბრძოლის ველზე**, კარპატებში, მოუკლავთ პრაპ. სოლ. ხომერიკი, ჩვენი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების" ყოფილი ასოთამწყობი. სურათი და წერილი—შემდეგ.

# სდუმს გული

(ეტიუდი)

— მგოსანო!

ლექსი სთქვი, მაქმანი დასწან წმინდა გრძნობათა! ეტყვის განა უარსა მოძღვარი ნუგეშში სამწყსოსა!

— ვიტყოდი, ადამიანო! ავაჟღერებდი მე ქნარსა, ოქროთ ქედილსა! მაგრამ... სდუმს გული; ძილს მისცემია; თვითვე იძინებს, თვით ახელს თვალსა!

— დამკვრელო!

მაშ შენ ჩააქრე მწვავი წყურვილი ჩემის გულისა. დაჰქროლე სიმებს სასტიკ გრიგალადა, დაუარე მათ ნაზ სიოსავით!

— შევისრულებდი, შევისრულებდი სურვილს მტანჯველსა; დავსწნავდი ხმათა თანხმობას, ვით მინდვრის ყვავილი, მაგრამ... ღრმად სძინავს ახლა ჩემს გულში მრისხანებას და სიხარულსა!

მარიამობსთვის 2-ს 1916 წ.

ლ. ბლაგოვეშჩენსკი.



# პატარა წერილები!

## III

...წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ჩემი მოსაზრება შემცდარია.

წარმოვიდგინოთ, რომ მოხდა სასწაული და მტკიცეთ გადაწყვიტეს, მართლა შემოიღონ ჩვენში ერობა.

მივსდიოთ იმ კანონპროექტს, რომელიც შემუშავებული არის და გამოვიკვლიოთ, რამდენი დრო დასჭირდება მის განხორციელებას, რომ საქმე, რაც შეიძლება, ჩქარის ნაბიჯით წავიდეს.

მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელი საერობო თათბირი მოხდა 1915 წლის აპრილში. დაწვრილებით იქმნა თათბირზედ გარკვეული ყოველივე საკითხი.

მიუხედავათ ამისა, კანონპროექტის შესადგენად ნამესტნიკის კანცელარიას დასჭირდა თითქმის რვა თვე.

სხვა ქვეყნებში უდიდესი კანონები ერთი თვის განმავლობაში გაჰყავთ ცხოვრებაში და აქ კი კანცელიარულ მუშაობისათვის დაიკარგა ამოდენა დრო. ამ პროექტის განსახილველად დეკემბერში მოიწვიეს გუბერნატორები და მათი აზრი მოისმინეს. შემდეგ ეს პროექტი გადასცეს სარედაქციო კომისიაში. ჯერ ამ კომისიას თავისი მუშაობა არ გაუთავებია და პროექტი ისევ კანცელარიაში ძევს. შემდეგ კიდევ გადაათვალიერებენ ნამესტნიკის საბჭოს წევრები და წარუდგენენ თვითონ ნამესტნიკს. როდესაც თვით ნამესტნიკი განიხილავს, პროექტი უნდა გაიგზავნოს პეტროგრადში.

იქ შეიძლება პროექტის ორის გზით მსვლელობა. უფრო მოკლე გზაა, მაგრამ არა ლიბერალური—ეს 87 მუხლით სარგებლობა—ესე იგი კანონი დამტკიცებულ იქნება ხელმწიფისაგან, განხორციელდება ცხოვრებაში და შემდეგ წარედგინება სახელმწიფო საბჭოს.

როდესაც სატახტო გაზეთებმა განგაში ასტეხეს აპრილის თათბირის შესახებ - კავკასიაში ერობა 87 ძალით უნდათ შემოიღონო—ერთმა დიდმა მოხელემ განაცხადა: რომ ვინმე თათბირის წევრმა მოითხოვოს ამ კანონით ერობის განხორციელება, ჩვენ დავეცემით მას, ვითარცა აფთარი, და უარვყოფთ ამ აზრსაო. ეს იყო უკუღმა ლიბერალიზმი უკიდურეს მემარჯვენეს პირში, მაგრამ მოხელეებმა ამჯობინეს ლიბერალიზმი დაეცვათ.

კიევის გუბერნიაში სტოლიპინმა ერობა ამ წესით შემოიღო, მაგრამ იქ იყო სხვა დრო და სხვა პირობები. კავკასიის პროექტი წავა კანცელიარულის წესით. ის გაეგზავნება მინისტრთა საბჭოს. საბჭო გადასცემს შინაგან საქმეთა მინისტრს, ეს უკანასკნელი გადასცემს განსახილველად საერობო დეპარტამენტს. საერობო დეპარტამენტი შეუდგება კანონპროექტის შესწავლას და შემუშავებას, რადგანაც ეს დეპარტამენტი ამ ჟამად იხილავს საზოგადოთ მთელის რუსეთის ერობის კანონპროექტის შეცვლის საკითხს. ეს პროექტიც გაივლის იმ კომისიის ხელში, რომელსაც ეს საქმე აქვს მინდობილი. როდესაც კომისია თავის აზრს გამოსთქვამს, შემდეგ თვით დეპარტამენტი კანონს დაიმუშავებს ადგილობრივი პირობების მიხედვით. ეს მოითხოვს ძალიან დიდ დროს, რადგანაც კავკასიიდან უგზავნიან ყოველივე მასალას, აგრეთვე აზრს ესრეთ წოდებულ უმრავლესობის და უმცირესობისასაც (მასალა რამოდენიმე დიდ ტომს შეადგენს). როდესაც დეპარტამენტი მორჩება მუშაობას, პროექტი გადაეცემა თავის აზრის გამოსათქმელად შინაგან მინისტრის საბჭოს წევრთ. იქ განხილვის შემდეგ საქმე გადაეცემა თვითონ მინისტრს. რადგანაც ერობა ეხება სხვა და სხვა სამინისტროების საქმეებს, პროექტი უნდა განიხილოს აგრეთვე უწყებათა შეერთებულმა სხდომამ (მეჟდუვედომსტვენნოე სოვეშჩანიე), როდესაც ამის შემდეგ მინისტრი დაადასტურებს პროექტს, ის გადაეცემა ისევ მინისტრთა საბჭოს.

საბჭომ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი პროექტზედ და თუ მოიწონა, დაადგენს გადასცეს განსახილველად სახელმწიფო სათათბიროს. პროექტი რომ მიუვა (თუ სათათბირო მოქმედობს იმ ხანებში), საქმე გადაეცემა საერობო კომისიას. საერობო კომისია საგანს ხელახლად დაწვრილებით შეისწავლის, ამოირჩევს მომხსენებელს, განიხილავს და შეიტანა სათათბიროში დასამტკიცებლად. იქ დეპუტა-

ტები თავის აზრს გამოთქვამენ, შესწორებას შეიტანენ და თუ პროექტი მოიწონეს, დაადასტურებენ.

შემდეგ პროექტი გადადის სახელმწიფო საბჭოში. საბჭო ხელახლად გადასცემს თავის საერობო კომისიას, შემოეგ მის აზრს მოისმენს და თუ მოიწონა, უცვლელად მიიღებს, თუ არ მოიწონა—უარჰყოფს და მთელი მუშაობა იკარგება. საბჭომ შეიძლება შეიტანოს რაიმე ცვლილება, მაშინ ისევ დაუბრუნდება სათათბიროს და გადაეცემა შემთანხმებელ კომისიას.

თუ ამ კომისიაში შეთანხმება მოხდა, მაშინ სათათბიროც და საბჭოც პროექტს მიიღებს და წარედგინება ხელმწიფეს დასამტკიცებლად. როდესაც ხელმწიფე დაამტკიცებს, პროექტი ხდება კანონად და ახლო მომავალში კიდეც განხორციელდება.

აი ასეთი გზა აქვს ამ კანონს გასასვლელი და ვინც ჩვენს კანცელარიებს იცნობს, ის დამეთანხმება, რომ თუ საქმე დიდის სიჩქარით წავა, დიდი მფარველები ეყოლება, ძლიერ კარგი პირობები შეხვდება და არსად წინააღმდეგობას არ გაუწევენ და არ უარჰყოფენ, ბუნებრივი დრო რომ ვიანგარიშოთ ამ საქმის დასაბოლოვებლად, მაინც საჭიროა უკანასკნელი კიდევ 3-5 წელიწადი მაინც. ამ დროისთვის რომ ველირსოთ ერობას, ამისათვისაც განგებას დიდი მადლობა უნდა შევსწიროთ.



# თაიგული

*** (მერის)

გუშინ გეხვია ბრბო უთვალავი,
უთვალავ აზრით ცრუთ ანაელერი...
და მათში ისე, ვითა ვარსკვლავი,
ბრწყინავდი შენა, შენ ჩემო მერი...
არ მოველ. . რაღაც არ მომესურვა.
იცი, არ მიყვარს მე ბრბო გულ-ქრელი;
გამოგიცხადე ჩემს გულში მღურვა
და ისე წაველ, ცრემლების მღვრელი!..

**ტალღა**

## გიმღერებ!..

შენ ჩემი ფიქრის ვარდი ხარ,
ალთქმის ედემში დარგული,
შენზე ოცნებამ იმედით
აღმიგზნო გული—დაჭული
და მებრძოლ გმირად გარდამქნა
ბედის მომდური... ტანჯული...

—

გიმღერებ... მარად გიმღერებ
სიმღერებს ციურ ჰანგზედა...
გიმღერებ, სანამ სიმები
არ შემიწყდება ჩანგზედა...
შენთვის დავიდგამ, სიცოცხლევ,
წამების გვირგვინს თავზედა...

**ხ. ვარდოშვილი**

## სოფლად

(ხალხურ კილოზე)

სტირის, თმას იგლეჯს მოხუცი:
ომში მომიკლეს ვაჟიო;
და ერთი ორად დამადვეს
მე ქვრივ-ოხერსა ბაჟიო.

—

ეგზეკუცია მოიჭრა,
აგვანიავეს ყველაო,
შიშველ-ტიტველა დაგტოვეს,
არვისგანა გვაქვს შველაო.

—

ცრემლის ღვრა, მოთქმა-ქვითინი!..
ტრიალებს ცოდვის ლულია,—
შვილო, სადა ხარ ბედკრულო,
სოფელი განგმირულია!..

**იაგო ტეტუნაშვილი**

## ამონაკვნესი

ქარი ჰქრის, ქარი ღრიალებს,
ქარი სისინებს ველზედა,—
სამშობლო წყვდიადს მოუცავს,
ცრემლები მოსდის თვალზედა.

***

სტირის მიდამო—ბაღნარი,
მოსთქვამს სევდიან ხმაზედა,
და მეც გავკივი, ეული,
სევდით მოცულსა ჰანგზედა.

**ტანჯული მუშა.**

# მოსამწერალი

პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან

ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული გრ. საქარიქედელის მიერ

გაგრძელება, იხ. 1916 წ. „თ. და ც," 2)

**ათან.** (დგება) ოქროუა, თუ არ გეზარება შინ წამყევი. თვალს მაკლია და ამ ბნელში გზას ვერ გევიგნებ

**მწერ.** ვახშამით მაინც მეითმინეთ მამაო.

**ბაბ.** (მიუახლოვდება მღვდელს) მამაო, ვახშმათ მოგვითმინე თქვენი საკადრისი იქნებ ვერაფერი პატივი გცეთ, მაგრამ...

**ათან.** (სიტყვას აწყვეტინებს) ბაბალე, ხომ იცი შენ ოჯახში მე პატივი არ მინდა. ჩვენ ერთმანეთთან ხადილ-ვახშამი კი გვიჭამია და ახლაც ვჭამდი, მაგრამ შეუძლოთ ვარ და ვერ დავრჩები. მარინეც მარტო დავტოვე სახლში. (მღვდელი ემშვიდობება მწერალს) გმადლობთ, რომ საწყალ კაცს ამისთანა კარგი საქმე მოუხერხე: ესენიც დაგისწავლიან პატივისცემას.

**მწერ.** ყველას ასე ვეხმარები მამაო, მაგრამ მაინც კიდევ მიჩივიან. (მღვდელი და ოქროუა გადიან. ბაბალე მიაცილებს კარებამდე.)

**მწერ.** (ბაბალეს აძლევს ქაღალდებს) აჰა, ბაბალე წეილე. მიდი იქ, ხომ იცი ახალ-გაწვეულ ჯარისკაცებს რომ ილებენ. მონახე ვინმე მწერალი. იქ ისინი ძაღლებივით ყრიან და ვინც მივა თვალებში შეჩერებიან, იქნება რამე დაგვაწერიოსო. აჩვენეესმოწმობები და უთხარი, რუსულად გადამითარგმნეთქო და მერე არძა გააკეთებინე. სულ გამოგართმევენ სამ მანეთს.

**სოფ.** ბარემამ შენ რომ გექნა სიკეთე და გადაგეწერა უკეთესი იყო.

**მწერ.** ჩემი გადაწერა რა საჭიროა. ხომ ხედავ ყველა ქაღალდები მზათ არის, წვრილმანები ღა დარჩა გასაკეთებელი. ეს იქ გადააწერინეთ. მე რომ გითხრა დამიჯერეთ.

**ბაბ.** შენ თუ არ დაგიჯერეთ, აბა ვილას უნდა დავუჯეროთ.

**მწერ.** (დაბალის ხმით. სცდილობს მამასახლისმა და კეთილ-სინდისიერმა არ გააგონოს) ასთე, როგორც გითხარით, ესენი გადაათარგმნინეთ, გააკეთებინეთ არძა. თითონ გასწავლიან სალაც უნდა წარადგინოთ ქაღალდები ვინიცობაა გკითხოთ ვინმემ, ვინ შეადგინა მოწმობაო—ლვდელმათქო უთხარით, თუ გკითხონ შენ, ბაბალე, ვაჟი მეტი არა გყავსთქო, უთხარი არაო-თქო. სოფონა გერია ჩემი-თქო. ხომ გაიგეთ როგორც დაგარიგეთ. როცა განთავისუფლონ, ჩემი ხუთი თუმანი მაშინვე მომიტანეთ. არ გაბრიყვდეთ, უარი არა სთქვათ ფულის მოცემაზე, თორემ საციმბიროდ გაგხდით სუყველას.

**ბაბ.** ვაიმე, რა ბრძანეთ აგი, დასტურ აგეთი აბდლები გგონივართ. მაგას როგორ ფიქრობთ. აგერ ზანდუკში მაქვს შენი ფული შენახული იმ დღესვე მოგირბენებ ჩემის ხელით.

**სოფ.** ამის გულიზა ხარები გავყიდეთ და ახლა წავიცდენთ პირს?

**მწერ.** (გაიგდ-გამოიგდის) აბა ბაბალე ეხლა კი დროა ვახშამი გვაჭამოთ.

**ბაბ.** (მაგიდას სდგამს) ეხლავე ბატონო, (უძახის თებროს) ბოშო თებრო, მეიტანე ვახშამი, (სოფონა გადის, ეხმარება ვახშმის მოტანაში. ყველანი სხდებიან ვახშმად. თებრონა გადის)

**ბაბ.** უკაცრავად გახლავართ ბატონო ამ მცირე ვახშამზე.

**მწერ.** არაფერია, (ბოთლს მოჰკიდებს ხელს) ამისთანა ხომ გაქვსთ ბლომათ.

**სოფ.** კი ბატონო, გახლავთ.

**მამასახ.** (სოფონას) რამდენი ჩაფი ღვინო დაწურე წელს სოფონავ?

**სოფ.** წელს, მადლობა ღმერთს, ოთხმოცი ჩაფამდინ მოუყარე თავი.

**კეთილ-სინდ.** წელს ყველგან კარგი იყო ეს დალოცვილი.

**სოფ.** აბა მამასახლისო. თამადობა მოულოცე მწერალს.

(ყველანი სვამენ მწერლის სადღეგრძელოს)

**მწერ.** (ალაგებს ოთხ ჭიქას) ეს ღმერთმა გადღეგრძელოს ბაბალე, შენ, სოფონა, შენი ცოლშვილი და ოქროუაი.

**სოფ.** გმადლობთ, გმადლობთ ბატონო მოსე, თქვენი თავიც კარგად გვყოლოდეს.

**მწერ.** ალავერდი მამასახლისო.

**მამასახ.** აი იცოცხლე, შეგეწიოს მაღლა ღმერთი. მოკლას ხარი თივაა. (ყველანი სვამენ სადღეგრძელოს).

**მწერ.** მე თქვენ ვერ გიყურებთ (ავსებს დიდ ჭიქას ღვინით) ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ამაღამინდელი ჩვენი გაკეთებული საქმე. (ყველანი სვამენ) მე რომ მევინდომო მთელ სოფელს ციმბირში გავაგზავნიებ. (მაგიდას დაჰკრავს ხელს) თქვენ გგონიათ ამ საქმეს ვერ გავაკეთებდი? მოსემ მოინდომოს და ვერ გააკეთოს! საქმე ვერ მოაკვარახჭინოს. ეს რა საფიქრებელია! რომ მევინდომო ციმბირს გაგზავნილ კაცს გზიდან დავაბრუნებ.. ჩემს კატოს რომ დაინახავს ვასილ ივანიჩი, ჰმ!... რა გგონიათ თქვენ? კატოს ყურ-მოჭრილ კატასავით ჰყავს იმ სისხო დიდი კაცი... ჩემი კატო თქვენ ვინ გგონიათ! იმისთანა ჭკვიანი გუბერნატორის ცოლიც არ იქნება... იმას კი ენაცვალოს მოსე. (ხელებს მაღლა აიშვერს) აბა მამასახლისო ეხლა კი დროა წავიდეთ. (ყველანი დგებიან)

**სოფ.** (უძახის) ნენა, ნენა, შემოდი, მიბძანდებიან.

**ბაბ.** (შემოდის)

**მწერ.** მშვიდობით. აბა ბაბალე, როგორც გითხარი ისთე.

**ბაბ.** კი, შენი ჭირიმე ბატონო. (გადიან ყველანი გარდა სოფონა და ბაბალესი)

**ბაბ.** (ხელებს აღაპყრობს) ღმერთო, ღმერთო ეს საქმე კეთილად დააბოლოვე. დამიხსენი ჩემი ოქროდ.

**სოფ.** რა ვიცი მე ძალიან მეშინია—„პადლოგი“ საქმეა.

**ბაბ.** არა შვილო, ჩვენი მწერალი ძალიან ნასწავლი და მოხერხებული კაცია, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა ვიყოთ, ხომ იცი როგორი მტერი გვყავს.

ფ ა რ დ ა.

გრ. საქარიქედელი

(გაგრძელება იქნება.)

# სახალხო თეატრის ისტორია

(იხ. „თ. და ცხ.“ № 51.)

დაუბრუნდეთ ისევ ავჭალის აუდიტორიას, 1899 წ. 1 ენკენისთვიდან მაისის გასვლამდინ სექციის წევრებათ ირიცხებოდნენ: მარიამ დემურია, გიორგი ლასხიშვილი და იოსებ ქუთათელაძე. წარსულ კრებაზედ სექციის წევრათ ამორჩეული იყო კიდევ ივ. მაჭავარიანი და ციმაკურიძე, რომლებმაც მალე თავი დაანებეს და იმათ ნაცვლად სექციას ეხმარებოდნენ სცენის მოყვარენი და ზოგიერთი გულ-შემატკივარნი, როგორც მაგალითად გენო ქობულოვი, რომელიც ნივთიერადაც ბევრს დაეხმარა. ამ სეზონში გაიმართა სულ 17 წარმოდგენა. ამ პიესებში ახალი პიესა იყო 9, დანარჩენი ნათამაშევი. წარმოდგენების უფრო კარგად წასაყვანად სექციამ ქართ. დრამატ. საზ-ბას სთხოვა რომელიმე მსახიობის რეჟისორად დანიშვნა. ქართ. დრამატ. საზ-გამგეობამ თავის მხრით რეჟისორად დაუნიშნა სვიმონ პავლეს ძე სვიმონიძე, რომლის 6 ხელმძღვანელობითაც 6 წარმოდგენა გაიმართა. სეზონის მეორე ნახევარში რეჟისორობა იკისრა ქართ. დრამ. საზ-ბის მსახიობმა კოტე მათიკაშვილმა. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: ქ-ნი მ. საფაროვ აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარელი, მანია აბაშიძე, გამცემლიძე, დემურია, ყიფშიძე, კუნდელი, სოფიო ლომაური, ნებიერიძე, საფაროვი, ტყეშელაშვილი, სოფიო ციციშვილი, ეკატერინე წულუკიძე, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ანანიაშვილი, ა. ადამიძე, ნ. გედევანოვი, კომელაური, ნიკო გოცირიძე, გიგო გელოვანი, გიორგი ჯაბაური, ჯაჯანაშვილი, იმერიძე, მაქრო საფაროვი, ურუშაძე, თოფურიძე, თუმანიშვილი, დათიკო ხოსროევი, ციმაკურიძე და მათიკაშვილი.

ამ სეზონში სექცია მართავდა კონცერტებს, ქართულ კითხვებს და ბუნდოვან სურათებსაც უჩვენებდა. ამ წარმოდგენებსა და კონცერტებს დაესწრო სულ 5427 ქალი და კაცი, ბილეთებას შემოსავალი იყო 273 მ. და 35 კ. ხარჯი—319 მან. და 65 კ. ისე რომ ეს სეზონიც ზარალით გათავდა.

გ. ჯაბაური.

# მწიგნობრობა

ჩვენი მწიგნობრობა, თუმცა მძიმედ, მაგრამ მაინც თან და თან იზრდება ხალხისათვის საჭირო და სასარგებლო წიგნაკებით. ძლივს ჩვენის აღორძინების სხვა და სხვა დარგს თავთავის პატრონი უჩნდება და ყველა ამათ თუ სიფხიზლე გამოიჩინეს, ქართველი მკითხველს ცის მანნასავით მოევლინებიან: საჭირო სიმტკიცე, სიბეჯითე, მოწადინება და დაუძლეველი არაფერია.

წელს მოსკოვში მოქმედება დაუწყვია „ქართველთა სამეცნიერო საზოგადოებას მოსკოვშია", რომლის სექციას განუზრახავს, უპირველეს ყოვლისა „გამოსცეს ქართული პოპულიარული საექიმო წიგნები". ამ სექციის პირველი ნაბიჯი, ჩვენს წინაა, ქვემორე წიგნაკის სახით

**„გადამდები სნეულებანი** ექიმ ა. ვ. პომბრაკისა, თარგმანი გაიანე დომოურისა, პრივატ-დოცენტის გ. დამბარაშვილის რედაქტორობით, 55 გვ., გასაგები ენით გადმოღებული წიგნაკია. ქართველი მეოჯახე მკითხველი ამ წიგნაკიდან ბევრ სასარგებლო საექიმო დარიგებასა და ცნობას ამოიკითხავს, რითაც ისე დარიბია ჩვენი სახალხო საექიმო ცოდნა. წიგნაკი მშვენიერ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

**სახალხო ასტრონომია** — ნაწილი II: მთვარე და მზე, შედგენილი ნ. კალანდაძის მიერ, გამოცემა ქ. შ. წ. გ. ს-სა, № 126, ტფ. 1916 წ. 55 კ., ვრცელი ზომისა, 94 გვ., კარგი ქაღალდზე დაბეჭდილი და სურათებით შემკული, ჩვენს სახალხო სამეცნიერო მწიგნობრობაში საუცხოო საკითხავ წიგნაკად ჩაითვლება: ენა მდაბიო, აღწერილობა მკაფიო და ყველასათვის გასაგებია.

**მოთხრობები ეკ. გაბაშვილისა,** მცირე წლოვანთათვის, ნაწილი II იმავე ქ. შ. წ. კ. ს. გამოცემა № 125, ტფ. 1916 წ. 93 გვ. ფ. 45 კ., მოზრდილი კრებულია საუცხოვო მოთხრობათა ჩვენი მწერალი ქალისა, რომლის სახელიც ამ მოთხრობათა ღირსებას ჭდადადებს. წიგნში 15-ე მოთხრობა-ზღაპარია მოთავსებული, აწყობილია სხვილი ასოთი (№ 16) და ყრმათათვის მშვენიერი საკითხავია. **უსავანო**

# ჟურნალ-გაზეთების სასარგებლოდ

**სპარსეთი. ჯულფა-თავრიზის** რკინის გზის მოსამსახურეებისაგან გვიგზავნით ურთიერთ შორის შეგროვილ 146 მან. და გთხოვთ გაანაწილოთ შემდეგნაირად: 36 მ. „თან. აზრს", 20 მ. „გოლოსს", 20 მ. „პაიქარს", 20 მ. „ახ. კვალს", 20 მ. „თეატრი და ცხოვრებას",—20. „ობოლ მუშას" და 10 მ. ჭოლა ლომთათიძის ნაწერების გამოსაცემ ფონდს. შემომწირველთა სია: ივანე ვარაზაშვილი 10 მ. მიტროფენე რუსაძე 6 მ. ხუთ-ხუთი მანეთი: ვლადიმერ შენგელია, გიორგი ბერიძე, ლევან გონგაძე, გიორგი დავითაშვილი, ალექსანდრე ჩანჩაური; Николай Ларіоновъ 4 მ.; სამ-სამი მანეთი: აგაბეგ მიკირტუმოვი, Алексѣй Соколовъ, სილოვან კოტრიკაძე, კოსტა გრიგოლია, ალექსი კაპანაძე, ილია კობახიძე, თომა ბოკუჩავა, ბენია ძნელაძე, პავლე სირაძე, თომა შავლახოვი, გიორგი სუმბათოვი, სვიმონ ვანიძე, ალექსი ლლონტი, Порфирій Озеровъ, Акопъ Шалаянцъ; ორ-ორი მანეთი: ნოე ავალიშვილი, შალიკო ბარამიძე, იოსებ ცხომარია, ეპიფანე ტოფურია, გიორგი შაინოვი, ბესარიონ გუგუნავა, კაპიტონ ძნელაძე, საბა შენგელია, სოლომონ ნადირიშვილი, Алексій Петуховъ, გიორგი ბედოიძე 3 მ., სპირიდონ არჩუაძე, ბარნაბა ცქიტიშვილი, ილია იაშვილი, ილია თეთრაძე; მანეთ-მანეთ ნახევარი: ლადო მაგრაძე, ალექსი ხარაძე, ალექსი ჯავახაძე, სოლომონ ქაჯია, ალექსანდრე ლომსაძე, სარდიონ კრავეიშვილი, Александръ Савенко, ახმედ აზიმოვ, ევტიხი რიჟამიძე; თითო მანეთი: ვასო ჯავახაძე, სიმონ მახარაძე, ილიკო ფირცხალაშვილი, ხრისტეფორ ვანიძე, პეტრე ვაშაკიძე, სამსონ ბებიაშვილი; მიხაილ გულდედავა 50 კ. Іосифъ Врушевскій 2 р. Константинъ Сейлановъ 2 р. ალექსი ხუციშვილი 1 მ. სულ ას ორმოცდა ექვსი მან.

ამხანაგების მინდობილებით ვლადიმერ **შენგელია და ლევან გონგაძე.** *)

---

*) ჯულფა-თავრიზის რკინის გზის მოსამსახურეთა შორის შეკრებილი 20 მან. „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ „თანამედროვე აზრი"-ს რედაქციისგან მივიღეთ, რისთვისაც გულითად მადლობას ვუძღვნით შემომწირველთ. რედ.

## წვრილი ამბები

◆ **დღეს** „ახ. კლ." სცენაზე წარმ. იქნ. „და-ძმა." დასაწ. შუადღ. 12 ს.

◆ **ქართ. დრ. საზ-ის კრება** გ. ჟურულის თავმჯდომარეობით და სხ. ქვარიანის მდივნობით გაი,

მართა იანვ. 3 სად-მამ. ბანკის დარბაზში. კრებამ დაადგინა: 1) გამგეობას უფლება მიეცეს, ანტრეპრიზის წარმოება მიანდოს ჯამაგირით მოწვეულ ერთს კაცს; 2) შემუშ ვდეს საპენსიო წესდება და გ მგეობა შეუდგეს საპენსიო თ ნხის შედგენას: 3) ვ. აბაშიძის თხოვნის თანახმადვე, შეიძინოს ხელნაწერ და ნაბეჭდ პიესების მისი ბიბლიოთეკა, 4) გამგეობამ შეადგინოს მოხსენება დრამატიულ კურსების დაარსების შ სახებ; 5) დაჩქარდეს ქართ. სცენის მოღვაწეთა ოქმების გამოცემა, რომლის ბეჭდვაც ლაწყებულია; 6) ვ, შ-ლიკაშვილს ეძლიოს დახმარება; 7) დაჩქარდეს ვ. გუნიას იუბილეს გამართვა და სხ

**ახალი გამგეობა** ქრთ. დრ. საზ ისა, იანვ. 3 არჩეული: ი. ბარათაშვილი, ი გედევანიშვილი, გ. გვაზავა, ნ. ერისთავი, შ. მიქელაძე, ნ. გ. ქართველიშვილი არ. ჭუმბაძე; კანდიდატები: ს ახვლედიანი, ს. გაბუნია და ს. შანშიაშვილი, სარევიზიო კომისია: გ. მაჭავარიანი, ი. რამიშვილი, ად. ფოროქაშვილი და ჭანტურია.

**ახალგაზდა მგოსანი** მ მეგრელიშვილი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

**ორი იანვრის დღესასწაული** ქართულ თეატრის დაარსებასა თბ. სახ. თეატრებმა წარმოდგენების გამართვით აღნიშნეს.

**საახალწლოდ თბილისში** გამოვიდა ორი სალიტერატურო ალმანახი: 1) „ლეილა,“ ი. გრიშაშვილის რედაქტორობით და 2) „საფ რონი“, გ. ლეონიძის რედაქტორობით.

**ს თ. ჭუელაშვილის** გარდაცვალების გამო ქალაქის სა ქ მ დაადგინა: 1) ს. ჭ ე აშვილი დაიკრძალოს ქალაქის ხარჯით; 2) კუბო შეამკოს ვერცხლის გვირგვინით; 3) დაესწროს.— ქართ. დრამ. საზ-ის კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ს. ჭ ელაშვილს, ხოლო გამგეობამ დადგინა დაესწროს მის დაკრძალვას.

### რედაქციისგან

**ხელის მომწერთ ვსთხოვთ:** 1) თუ ვისმეს გასული წლის ნომერი აკლია, გვაცნობოს და გაუგზავნით; 2) ვისაც ჟურნალის ფასი არ გამოუგზავნია, დროით გამოგზავნოს.

ჟურნალი ყველას უკლებლივ ეგზავნება და თუ ვისმეს არ მიუვა, გვაცნობოს.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

# უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენ. იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორედ შევსებულ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 2 მ. 50 კ. გაწერა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба“—Іос Имедашвили.

(10—1)

# თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს როგორც თბილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან, სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ.

**გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის ვაუგზავნებთ.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе. თბილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განამთლებაში“, ოლღას ქუჩა, № 6·

# „სახალხო ფურცელი“

სურათებიან დამატებით ღირს წელიწადში 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. სამი თვით 5 მან.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად:**

ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 აპრილისათვის 4 მ. და 1 აგვისტოსთვის 4 მან. კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქციის მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცლის“ რედაქცია, სასახლის ქუჩა № 6 Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“ поч. ящ 190

# „ეშმაკის მათრახი“

იუმორისტული ჟურნალი. ფასი მთელი წლით: 7 მ.ნ. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს.

# ახალი კლუბი

კვირას 8 იანვარს

ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება ზ' გუნიას

## „და-ძმა“

**მონაწილეობენ:** ქქ-ნი: ტ. აბაშიძე, ნ. და, ვ თაშვილი, მ. ქიქ. რაჯიშვილი, ბ-ნნი: ვ. გ მყრე იძე, ი. ზარდალიშვილი, გ. იმხნელი, გ. ფრონის-პირელი, ი. თარალაშვილი, ნ. ჩაგუნავა. და სხ.

დასაწყ. სად. 12 ს. ფასი: 1-70 კ 30 კ-დე. რეჟისორი ***. ადმინისტრ. დრამ. საზ-ბისა

## V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო სალიტერატურო, სამახტვრო
კვირეული ჟურნალი

# თეატრი და ცხოვრება

(წლიწადი მეხუთე)

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ
ორ პრემიას

**აკაკის** „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჭ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

**ჟურნალის ფასი** ორივე პრემიით წლიწადში ღირს **8** მან ნახევარის წლით. 4 მან. **50** კაპ. თითო ნომერი ცალკე 15 კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ, 1 მაისამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

**ხელის მოწერა მიიღება:** თბილისში, „სორაპნის“ **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**



ქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზ-ისა და ქართველ ხელოვანთა საზ-ის თაოსნობით „დიდების ტაძარში“ (გოლოვინის პროსპექტზე) გაიმართება

**ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკების**

## გამოფენა

გამოფენა გაიღება იანვრის 8, შუადღის 1 ს. გამოფენის დაწყებამდე ექვ. სვ. თაყაიშვილი წაიკითხავს ლექციას ქართულ ფრესკების შესახებ. შესვლის ფასი პირველ დღეს: 1 მან., მოწაფენი ფორმით-50 კ.



## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტზე, № 163)

**ერთი კვირის პროგრამა იანვრის 8-15**

**ორშაბათი**— სინემატოგ. სიმებ. ორკ.

**სამშაბათი** სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

**ოთხშაბათი** —ქართული სიმ. ორკესტ.

**ხუთშაბათი**—სინემატოგ. სიმებ. ორკესტრი.

**პარასკევი**—სიმებიანი ორკ. წარმოდგენა

**შაბათი**—სიმებიანი ორკესტრი.

**კვირა** — სიმებიანი ორკესტრის კონცერტი.

**შესასვლელი ფასი:** ქალები და სტუდენტები—25 კ. მამაკაცნი 50 კ.

**დასაწყისი:** წარმოდგენა—კონცერტებისა საღ. 8 ნახ. ს.—სინემატოგრაფი—9 ს.



## ახალი კლუბი

1 კვირის პროგ. იანვრის 8-15

**კვირა** — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

**ორშაბათი** —ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

**სამშაბათი** — საოჯახო საღამო

**ოთხშაბ.** —სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

**ხუთშაბ.** —ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

**პარასკ.** —ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

**შაბ.** — საოჯახო საღამო

**კვირა** —რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ სა. **შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.


